პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 აგვისტო, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 149 (10 068) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი გოგოები—ევროპაში პირველები!

ისე მოხდა, რომ მშვილდოსნობაში სახელოვანი ტრადიცია ჩვენთან ქალებმა დაამკვიდრეს: ყველას მოეხსენება ლუბა ასატუროვასა და, განსაკუთრებით, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონის ქეთევან ლოსაბერიძის შესანიშნავი გამარჯვებების შესახებ. ამ გზაზე სვლა ერთხანს შეფერხდა, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, ადრინდელი ქალით იწყება ტრადიციის აღორძინება — ქართველმა გოგოებმა ეს-ესაა გაიმარჯვეს ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში





გრძელდება ჩვენი მშვილდოსანი გოგოების წლევანდელი სეზონის შესანიშნავი წარმატებები. IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში გამარჯვების შემდეგ მათ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატშიც ისახელეს თავი. ეს შეჯიბრება ლონდონის გარეუბანში ჩატარდა.

ნატო ნასარიძემ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა, რომელშიც ნასარიძის გარდა გამოდიოდნენ ასევე თბილისელი სულიკო თოფურია და ოდესელი პოლინა სტეპანოვა, ყველას აჯობა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გუნდურ პირველობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მშვილდოსნებს ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ იუნიორთა ასაკის ზღვრამდე (20 წლამდე), ნატო ჩვიდმეტი წლისაც არ არის, ხოლო სულიკო ერთი წლით უმცროსია მასზე. ორივე გოგონა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელია, მათი მწვრთნელებია ვლადიმერ ლექვეიშვილი და ალექსანდრე მექევაძე.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სულიკო თოფურიამ ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირში II ადგილი დაიკავა პირად პირველობაში.

გუშინ ნატო ნასარიძე და საკავშირო ახალგაზრდული თამაშების კიდევ ერთი ჩემპიონი ხათუნა ქვრივიშვილი პოლონეთში გაემგზავრნენ სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობაში“ მონაწილეობის მისაღებად.

• • •

სურათებზე: ნატო ნასარიძე, სულიკო თოფურია (ზევით).

სანიტარული წესრიგი — ყველგან!

ᲘᲧᲝ დრო, როცა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ ფორმალურად ექცეოდა ყურადღება. ყოველ შემთხვევაში, რაკი საქმეზე საბოლოო შედეგით მსჯელობენ, სწორედ საბოლოო შედეგი გვაძლევს ასეთი დასკვნის უფლებას.

თბილისის სანიტარული მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და მისი სამსახურების საქმეა. რამდენადაც გვახსოვს მთავრობის დონეზე ეს საკითხი დღემდე არ განხილულა. ახლა კი...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გუშინ გამართულ სხდომაზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ეს თემა. არადა, თურმე სწორედ მთავრობის ჩარევა ყოფილა საჭირო, რომ ის უამრავი პრობლემა, რაც დაიხვა, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიყო. ქვეყნის სანიტარული მდგომარეობით ხალხის კულტურის დონეზეც მსჯელობენ. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის სპორტულ ბაზებზე, ყველაფერი როდია წესრიგში. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის სანიტარულ კვანძებზე, გასახდელებზე, საშხაპეებზე, ნაგებობების ინტერიერისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასა და სისუფთავეზე. ითქვა, რომ სანიტარული წესრიგის საკითხი გადაჯაჭვულია სუფთა გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობასთან, გამოითქვა, კონკრეტული წინადადებები თბილისში საერთო სისუფთავის უზრუნველსაყოფად, გადაწყდა შესაბამისი სამსახურები უზრუნველყონ საჭირო ტექნიკით, სახსრებით, მაგრამ ამავე დროს შესაბამის სამსახურებს მკაცრად მოეთხოვება პასუხი ქალაქში სანიტარული მდგომარეობისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ.

სამნი — ლიდერთა ჯგუფში

ᲓᲦᲔᲡ საშუალება გვაქვს ოდნავ უფრო სრული ინფორმაცია მოგაწოდოთ მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობებიდან, რომელთაც პუერტო-რიკოს ქალაქი გუადილა მასპინძლობს. თუმცა, მთლად სასიამოვნო არ იქნება ეს ცნობა, რადგან ჯერჯერობით ვერც ერთი ჩვენი თანამემამულე ვერ ლიდერობს შეჯიბრებას თავის ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა დაწინაურებულთა შორისაა, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასპარეზობების დამთავრებამდე საკმაო დროა (6-6 ტური), უნდა ვიფიქროთ, ჩვენი გოგოები გამოასწორებენ მდგომარეობას და ახალი გამარჯვებებით გაგვახარებენ.

12 წლამდე ასაკის შეჯიბრების V ტურში ბათუმელმა დიანა დარჩიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა და ახლა 4 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით გაუსწრო რუმინელმა პეპტანმა.

16 წლამდე ასაკის მოთამაშეებში 5 შესაძლებლიდან 5 ქულით პოლონელი დომბროვსკაია გაიჭრა წინ. მას ქულით ჩამორჩება თბილისელი თეა ლანჩავა, რომელმაც V ტურში ქუთაისელ სოფიკო ნიკოლაძეს სძლია. ნიკოლაძეს 3 ქულა დარჩა.

18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე დაწინაურდა ბულგარელი ადაიდოვა, რომელიც ქულით უსწრებს თბილისელ ნათია ჯანჯღავას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში შემავალ მძლეოსანთა ტურნირზე სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა სიმაღლეზე ხტომაში ჰოლის კონვეიმ 238 სანტიმეტრის სიმაღლე დაძლია. კონვეიმ სცადა მსოფლიო რეკორდის გამეორება (244 სმ), რომელიც რამდენიმე დღით ადრე კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა დაამყარა. მაგრამ ცდა ამჯერად უნაყოფო გამოდგა. ამის მიუხედავად კონვეი დარწმუნებულია, რომ ამერიკელ მძლეოსანთა შორის სწორედ ის გადალახავს ყველაზე ადრე ამ სარეკორდო ზღვარს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამერიკელი მძლეოსანი, ისევე როგორც სოტომაიორი 22 წლისაა.

წელიწადი - მეოთხედი



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრეკზე საკავშირო ჩემპიონატის პირველივე დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. იგი დაამყარა ტალინელმა ერიკა სალუმიაემ 200 მეტრზე გიტში სვლით — 11,170. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდიც მას ეკუთვნოდა (11,210), რომელიც შარშან 24 აგვისტოს ამავე ტრეკზე იყო დამყარებული.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ. აქ და სიმფეროპოლში დამთავრდა კალათბურთელთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ეტაპები (ნახევარფინალები): რვა ფინალისტს შორის თამაშის უფლება მოიპოვეს: მხტი-მ, ბალაშიხას ასკ-მ, სიმფეროპოლის „ფოტონმა“, კიევის „ბიტოვიკმა“, ტირასპოლის გუნდმა, აგრეთვე, ვილნიუსის „ჟალგირისმა“, ოდესის „დოკერმა“ და ხაბაროვსკის „ვოსხოდმა“.

დეპეშა ნომერში

ᲝᲨᲘ. საქართველოს მთამსვლელთა თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ლენინის პიკი დალაშქრა. მთელი ჯგუფი საბაზო ბანაკში დაეშვა. ექსპედიციის ყველა წევრი თავს კარგად გრძნობს.

Რ. ᲑᲘᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

დაჯილდოება

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო „ოქროს მედლით“ დააჯილდოვა ამავე სპორტსახკომის „საქსპორტრემმშენის“ მთავარი ინჟინერი შოთა მიხეილის ძე შოთაშვილი.

ამბიციის გაკვეთილი

საქართველოს სპორტსახკომში

ᲒᲕᲘᲛᲫᲘᲛᲡ ამ თემაზე წერა, მაგრამ სხვა გზა არ არის. კალამი ხელში უფრო იმიტომ ავიღეთ, რომ შეცდომები აღარ განმეორდეს, რომ იმ ახალგაზრდებმაც, რომლებზეც იმედს ვამყარებთ, ნდობა გაამართლონ. პედაგოგიკაში არის ასეთი ტერმინი — „უარყოფითი ჩვევა“. ეს ჩვევა დროდადრო თავს იჩენს ხოლმე აღსაზრდელში და, თუ იგი დროზე ვერ შენიშნე, დროზე ვერ უმკურნალე, მერე და მერე მეტასტაზივით უფრო შორს წავა, უფრო ღრმად გაჯდება სულში და ცხოვრების საძრახის წესად შეიძლება იქცეს.

ყველამ კარგად იცის, ბოლო წლებში რა კრიზისს განიცდის ჩვენი კალათბურთი. რესპუბლიკის გარედან მოვიწვიეთ სპორტსმენები, რომ ქართული კალათბურთის ტრადიციები შეგვენარჩუნებინა, მაგრამ ამ სურვილმა მეორე საფრთხის წინაშე დაგვაყენა — იკარგებოდა სხვა ტრადიცია, ჩვენი კალათბურთის ჩვეული ხელწერა, მისი ქართული სული. იმთავითვე გვქონდა იმედი, რომ დიდი სპორტის გზაზე იყო შემდგარი „მართვე“, ჭაბუკ კალათბურთელთა სხვა გუნდები, რომელთა დაფრთიანებას ასე მოუთმენლად მოველით. გამოკრთა იმედი — „დინამოში“ დაიწყეს რჩეულთა შორის რჩეულთა მიწვევა. პარალელურად დაიწყო გუნდის ცვლაც მთლიანად გაქართველების პროცესი. როგორც სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე დინამოელ კალათბურთელთა მთავარმა მწვრთნელმა ლ. მოსეშვილმა განაცხადა, კაპუსტინი, ბოროდაჩოვი და ტიუბინი უკვე წავიდნენ გუნდიდან.

ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში ჩვენი ნაკრები V ადგილზე აღმოჩნდა. როგორც ვიუწყებოდით, სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე მკაცრად იმსჯელეს ამ წარუმატებლობის მიზეზებზე. არაორაზროვნად ითქვა, რომ ჩავარდნა გამოიწვია ნაკრების ზოგიერთი წევრის გაყოყოჩებამ, უდისციპლინობამ და კოლექტივისგან განდგომამ, პირადმა ამბიციებმა. გადამეტებული ხომ არ არის ახალგაზრდა სპორტსმენთა ასეთი კრიტიკა? სრულიადაც არა. პირიქით, ყოველივე ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი — უმადურობა! დიახ, ყველაფერთან ერთად გუნდის რამდენიმე წევრმა თავისი საქციელით უმადურობა გამოიჩინა აღმზრდელთა მიმართ, განსაკუთრებით იმ ადამიანის მიმართ, ვინც საფუძველი ჩაუყარა „მართვეს“, ვინც მათ გვერდში იდგა იმ პერიოდიდან, როცა ბავშვები იყვნენ და ზურგზე ჩანთამოკიდებულები სკოლაში დადიოდნენ.

დროა პირდაპირ გადავიდეთ საქმეზე. დონეცკში განსაკუთრებით „გამოიჩინეს“ თავი ძმებმა ვაშაკიძეებმა და ღლონტმა, ნაწილობრივ — შენგელიამ. ვაშაკიძეებმა და ღლონტმა იუკადრისეს თანაგუნდელებთან ცხოვრება და დონეცკში დამატებით, ფარულად საუკეთესო სასტუმროში ნომრები დაიქირავეს. ცხადია. ირღვეოდა რეჟიმი, დისციპლინა, მოიშალა კონტროლი. საქმე საქმეზე თუ მიდგება, მთავარი მედლები როდია. არა, ჯილდოებს არავინ მისტირის. ჩვენ ის გვაწუხებს, რომ ახალგაზრდებს, დიახ, ჯერ სრულიად ახალგაზრდებს, გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, თანატოლებს განუდგნენ, აქაოდა, ჩვენ მაინც განსხვავებულები ვართო, თანაგუნდელებთან ერთად ცხოვრება იუკადრისეს, გვესმის, „დინამოს“ ყველგან უკეთ იღებენ, უკეთ კვებავენ და აცხოვრებენ, მაგრამ განა კომფორტს უნდა ვანაცვალოთ კოლექტივის, ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკის ინტერესები? გუნდი ერთი ოჯახია. თუ ამ პრინციპით არ ვიცხოვრეთ, გაგვიჭირდება შეკავშირება, ურთიერთგაგება, ურთიერთთანადგომა, ერის სამსახური. განა დღეს ახალგაზრდას აქვს უფლება, ასე უტიფრად მოიქცეს? ბიჭები, რომლებიც უფროსებს ეხვეწებოდნენ, ნება მოგვეცით საქართველოს ეროვნული დროშით შევიდეთ სპორტულ დარბაზში, თამაშის დროს კი მაისურაზე ამ დროშის სამკერდე ნიშანი გავიკეთოთ (რაზედაც მიიღეს კიდეც თანხმობა), მერე ასე ულირსად მოიქცნენ. სად არის ზღვარი ნამდვილ და ყალბ გრძნობებს შორის? მოწოდების სიმაღლეზე ვერც გუნდის ლიდერი კ. შენგელია იდგა. გამუდმებული ჭირვეულობით და ნერვიულობით მას დაბნეულობა შეჰქონდა გუნდში. ვამბობთ ამას და აქვე გვინდა დავძინოთ: ახალგაზრდა სპორტსმენისთვის მეტისმეტი ხომ არ არის ერთდროულად ოთხ საკავშირო ნაკრებში (1969, 1970, 1971 და 1972 წლებში) რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებში და „დინამოს“ ოსტატთა გუნდში თამაში, ამასთან დაკავშირებული გამუდმებული მოგზაურობა? იქნებ სწორედ ეს არის მისი აგზნებულობის მიზეზი? ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში წლეულს ჩვენს ნაკრებს წარმატების რეალური შანსი ჰქონდა. თავად განსაჯეთ, გუნდში გამოდიოდა ოთხი დინამოელი — შენგელია, ირ. ვაშაკიძე, უსტიაშვილი და თორთლაძე, წინა თამაშების მონაწილე გუნდის წევრები მხოლოდ მიახლოებული იყვნენ „დინამოს“ კარიბჭესთან. იმ გუნდიდან „დინამოს“ დღემდე შემორჩნენ ტალაბაძე და ფერიაშვილი. ახლა კი... ჩვენმა ახალგაზრდა კალათბურთელებმა „დინამოსაც“ უღალატეს, უღალატეს იმ სპორტსმენებმა, ვინც დღეს უკვე გამოდის გუნდში და ვისიც იმედიც მომავლისთვის ჰქონდათ დინამოელთა ხელმძღვანელებს. ძმებს ვაშაკიძეებს და დ. ღლონტს სპორტსახკომის კოლეგიამ ერთი წლით აუკრძალა კალათბურთის თამაში. ეს გადაწყვეტილება ყველამ ერთხმად მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წითელი ბარათი ბიუროკრატიზმს!

„მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს“

„ჯერ კიდევ რკინის ქალამნებია საჭირო საკუთარი თავი და ქონება რომ დაიცვა

და კიდევ: რამდენიმე ფოტოსურათი ანუ ეპიზოდი 65-ე კორპუსის ცხოვრებიდან

ძალმომრეობას და უსამართლობას ჩვენში ყავლი ჯერ კიდევ არ გასვლია და როგორც ჩანს ამის იმედი არც ახლო მომავალში უნდა გვქონდეს. ნათქვამის დასტურად თუნდაც რედაქციაში შემოსული წერილები გამოგვადგება. ამჯერად გვინდა მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ თბილისის ლენინის რაიონის ოქტომბრის ქუჩის № 65 კორპუსის მაცხოვრებელთა საჩივარი, რომელსაც ხელს აწერს 46 კაცი. როგორც ჩანს, ჯერჯერობით გარდაქმნა გარკვეულწილად მხოლოდ იდეოლოგიის სფეროს შეეხო და ცხოვრებაში უჭირს გზის გაკვალვა. უსამართლობა ყოველ დროში ერთნაირად აღელვებდა ადამიანს. სწორედ ამიტომაა, რომ ილია მართლის პოემის სტრიქონებს, გამოყენებულთ ქვემოთ მოყვანილ წერილში, დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა:

„თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია, მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება“

„ჩვენს კოოპერატიულ ბინაში 65 ოჯახი ცხოვრობს. სახლი რვა წლის განმავლობაში შენდებოდა. მგონი, დამპროექტებლებმაც არ იცოდნენ, რა გამოვიდოდა. საბოლოოდ ისეთი ვიწრო დერეფნები შეგვრჩა ხელთ, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. ამას ერთი „სიკეთეც“ დაემატა: ლოჯიები არა გვაქვს. იმაზე ხომ, ცხადია, არავის უფიქრია, ბავშვებს პატარა სპორტული მოედანი ჰქონოდათ. ეზო არა გვაქვს. ერთადერთი სულმოსათქმელი ადგილია ქვემოთ, ხიმინჯებს შუა არსებული ფართობი. სწორედ აქ ვიკრიბებით სიცხისგან გათანგული მეზობლები. მეთორმეტე სართულზე ცხოვრობს სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი (ფეხები არა აქვს). იგი დილიდან შუაღამემდე ეზოშია: იქ სადილობს, იქ ვახშმობს და თუ ლიფტი გაფუჭდა, მანქანაში იძინებს, მაგრამ...“

„რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრადა“

„...აგერ უკვე მესამე წელია ლენინის რაიონის აღმასკომის თანამშრომლები შემოგვიჩნდნენ — ხიმინჯებს შუა ორივე მხარეს პურისა და ფქვილის მაღაზიები უნდა ავაშენოთო. აბა, წარმოიდგინეთ ჩვენი კორპუსი ქუჩის პირას დგას, ოქტომბრის ქუჩა კი მოგეხსენებათ, დღე და ღამე ტრანსპორტითაა გადატვირთული. ჩვენს გვერდით მდებარეობს აგრეთვე ჩოდრიშვილის ქუჩა, სადაც ტრამვაი წრჭიალით უხვევს. ასეთ მდგომარეობაში ერთადერთი „ოაზისი“ ხიმინჯებს შუალა გვრჩება. მაღაზიები, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ჩვენ სადღა წავიდეთ? მით უმეტეს, რომ ამგვარი მაღაზიები მღრღნელებითაა ხოლმე სავსე. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დღეში რამდენიმეჯერ აქაურობა პურის მანქანებით იქნება ჩახერგილი. ერთი სიტყვით, აღმასკომმა ჩვენი ჩივილი არაფრად ჩააგდო, მაღაზიისთვის კედელი უკვე ამოაშენეს. შემდეგ, საქმის ბოლომდე მისაყვანად, აგურიც მოზიდეს. ამ დროისათვის უკვე საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა და შევძელით წინააღმდეგობის გაწევა. იძულებული გახდნენ აგური უკან წაეღოთ, მაგრამ არ „შედრკნენ“ და ახლა ბლოკი მოიტანეს, როდესაც ამ ძალადობამაც არ გაჭრა, „ძველებური“ ტონით დაგვემუქრნენ — მაინც ავაშენებთ, თქვენ არავინ გეკითხებათო! რატომ, კაცო, სახლი ხომ კოოპერატიულია, ყოველ გოჯ მიწაში ფული გვაქვს გადახდილი...“

„მირჩევ ჩემით გერჩივნოს შენსას“

„ამ შეტევებმა რომ შედეგი არ გამოიღო, „კანონით“ მოგვიდგნენ — სადაც ხიმინჯებია, აუცილებლად უნდა ამოშენდესო. მაშინ ვუთხარით — ჩვენ თვითონ გამოვიყენებთ, ბავშვებისთვის სპორტულ სარბიელს ავაშენებთო, ამაზეც მტკიცე უარი გვტკიცეს — ნებას არ გრთავთო; არ დაგიმალავთ, ბევრი ჩვენგანი ეჭვობს — ჩვენი კუთვნილი ტერიტორიის მითვისებას სხვა სუნი ხომ არ უდისო. ამ ორი კვირის წინ ვიღაცეები მოვიდნენ, საჩქაროდ კედელი წამოჭიმეს. საღამოს დავუნგრიეთ. მილიციის ინსპექტორი მოიყვანეს. ოქმი შეადგინა და დაგვემუქრა — მალე ჯარიმა მოგივათ და არ გეწყინოთო“.

„მერე ვმართავდით თამაშობასა ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა“.

„ამ ოცი-ოცდაათი წლის წინ თბილისში რამდენიმე სათამაშო მოედანი იყო, დღეს კი ჩვენი ბავშვების ფიზიკური განვითარება ძალიან ცოტას თუ ადარდებს. კორპუსის უკან გვაქვს პატარა ადგილი, სადაც შეიძლება ჩვენმა შვილებმა მუხლი გაშალონ. ამ მიზნით დავიწყეთ შემოღობვა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ირგვლივ კერძო ბინებია და, აქაოდა ბუნკერი აქვთო, მოსახლეობა თავისი ნაგვით უხვად „გვამარაგებს“. მოვიდა აღმასკომიდან კაცი და ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენივე თანხით თითქმის დასრულებულ ღობეზე გვითხრა — თუ მაღაზიას არ აგვაშენებინებთ, ამას დაგინგრევთო. იმის მაგივრად, რომ თვითონ გვეხმარებოდნენ მოედნების მოწყობაში, პირიქით, ხელს გვიშლიან.

ახლა თქვენი იმედიღა გვაქვს. უდროო დროს გაწუხებთ, საქართველოს ისედაც ბევრი საწუხარი აქვს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ მას ჯანსაღი ახალი თაობა სჭირდება“.

„ვიცი მე ძამო, არც გამიწყრები და არ დამძრახავ მეტ კითხვისთვინა“

ამ კოლექტიური წერილის მიღების შემდეგ რომ არავის ეთქვა — „რას უყურებდი, ნუთუ სეირსა“-ო, ლენინის რაიონის აღმასკომს ვეწვიეთ ერთი უმთავრესი კითხვით — რატომ არ აძლევენ უფლებას 65-ე კორპუსის მცხოვრებთ, თავიანთი ტერიტორია ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენონ?

აღმასკომის თავმჯდომარემ დავით ზუბიტაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა განმიმარტეს, რომ ამ უბანს პურის მაღაზია უფრო სჭირდება და ალტერნატიული ვარიანტი არ არისო.

კვლავ დავუსვით შეკითხვა: კი მაგრამ, ბავშვებს და დიდებს ამით ხომ შევავიწროვებთ, მათ ეზოში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩებათო. მათ განგვიმარტეს — იქვე, ქუჩის მეორე მხარეს, სკვერია და ხანდაზმულებს არავინ უშლის ხელს, სუფთა ჰაერით ისუნთქონ; რაც შეეხებათ ბავშვებს, მათ შეუძლიათ ითამაშონ 112-ე საშუალო სკოლის ეზოში, „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსის მოედანზე; გარდა ამისა, იქვე ახლოსაა საჭიდაო დარბაზიც, მეტი რა უნდათო.

არ დავეთანხმეთ. ჭიდაობას სექციაში ჩაწერა სჭირდება. რაც შეეხება სკოლის ეზოს, რამდენადაც ვიცი, ბავშვებს იქ თავის ნებაზე არავინ ათამაშებს, მათთვის კი განრიგს ვერ შეადგენენ: „შრომით რეზერვებამდე“, თუ იქ უბნის ბიჭები ვინმემ სათამაშოდ გაუშვა, ტრანსპორტის ოთხი გაჩერებაა, ცხადია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ — მოედანს რომ მიაღწიონ, ქუჩის გადაკვეთაა საჭირო („იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს“). საკითხავია, გაუშვებენ მშობლები ბიჭებს ასე შორს? გარდა ამისა, 65-ე კორპუსის გვერდით მდებარეობს 16-სართულიანი სახლი, რომელშიც 108 (!) ოჯახი ცხოვრობს და, ცხადია, არც მათ აქვთ რაიმე მოედნის მსგავსი.

„მაგრამ ეჰ, ძმაო, რაც იყო იყო“

აღმასკომის თავმჯდომარემ დაგვაიმედა რაც იყო — იყო. თუკი 65-ე კორპუსის მცხოვრებლები მაღაზიის აშენებაზე არ თანხმდებიან, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ეგ არის, რაც ამოვაშენეთ, ის უნდა დავანგრიოთ. რადგან მასალა „გვაწერიაო“. რაც შეეხება ღია სპორტულ მოედანსა და ხიმინჯებს შუა სპორტული „დარბაზის“ მოწყობას, ამის შესახებ განცხადება შემოიტანონ, უფლებას მივცემთ, ოღონდ საკუთარი სახსრებით უნდა ააშენონ, ჩვენ კაპიკითაც ვერ დავეხმარებითო.

„ვით მეტი იყო წეღან ძაგება, ისე მეტია ეხლა ეგ ქება“.

ზღაპრის ფინალია არა, პატივცემულო მკითხველო? სიკეთემ გაიმარჯვა, უსამართლობა დამარცხდა. სამწუხარო აქ ისაა, რომ ჯერ კიდევ რკინის ქალამნებია საჭირო, საკუთარი თავი და ქონება რომ დაიცვა.

ჯემალ კახრაძე.
ავტორის ფოტოები.



მაღაზიისთვის კედელი ამოაშენეს

აფიცრეს...

აი, აქ შეიძლება პატარა სპორტული მოედნის მოწყობა

* * *

მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი!

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ

ათი კეთილი საქმე რომ გააკეთო და ერთი ცუდი, ამ ცუდს უფრო დაიხსომებენ. ქართული სპორტისთვის არაკეთილმოსურნეობას ბევრჯერ მოუტანია ზიანი. ყოველი ფაქტი ჭრილობასავით ამჩნევია სულსა და გულს. დავიწყოთ იმით, რაც ჩემი ხნის ადამიანს ახსოვს.

იყო დრო, საქართველოში კალათბურთი და ფეხბურთი ერთნაირად უყვარდათ. რამდენი სიხარული მოუნიჭებიათ ჩვენთვის ამ სახეობების წარმომადგენლებს. ვხარობდით ჩვენც და ხარობდნენ ისინიც. ჩვენი საკალათბურთო სკოლა ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა. მის განადგურებას ათეული წლები დასჭირდა, ბოლო დრომდე კი სანთლით საძებარი გვყავდა ქართველი კალათბურთელები და თბილისის „დინამოს“ თუნდაც წლევანდელ შემადგენლობას ქართულ კალათბურთს ვეძახდით.

ფეხბურთი! საბჭოთა კავშირში ვერავინ თამაშობდა ისე ლამაზად, როგორც ჩვენები. მსოფლიო კლასის ფეხბურთელები გვყავდა. მახსოვს, რა მანქანებით წაგვართვა საბჭოთა კავშირის თასი მოსკოვის „ტორპედომ“, მახსოვს, 1966 წელს როგორ მისცეს აცილება მესხს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, მეტრეველი კი წაიყვანეს, მაგრამ ერთი ტაიმი ათამაშეს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ თამაშით მეტრეველი მსოფლიოს ნაკრებში მოხვდა. ვინ იცის, რა მოხდებოდა, მესხსაც რომ ეთამაშა.

60-იანი წლების მიწურულს საბჭოთა ფეხბურთელები თურქეთში ადგილობრივ ნაკრებს შეხვდნენ. საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში საკმაოდ იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები, ეს თამაში საგრძნობი უპირატესობით მოიგო, მაგრამ გულშემატკივართა უმრავლესობას ეს არ გახარებია, რაც გამოხატეს კიდეც ოზეროვისადმი გაგზავნილ წერილებში, რომლებშიც კატეგორიულად მოითხოვდნენ — წავაგოთ, ოღონდ ჩვენებმა ითამაშონო. ერთი სიტყვით, ნაკრებიდან ქართველების გამოყვანას ითხოვდნენ.

გავიხსენოთ 1981 წლის 13 მაისი. განა ბევრ არაქართველს გაეხარდა ევროპის თასების თასის თბილისში ჩამოტანა? არა, და თუ ვინმეს გაეხარდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე წელს (თბილისელთა წარმატების გამო) ხუთ საბჭოთა გუნდს ეძლეოდა უეფა-ს ტურნირებში მონაწილეობის უფლება. ჩვენი გუნდი მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი იყო მთელს კავშირში, მაგრამ რამდენი მოთამაშე მიიწვიეს ნაკრებში 1982 წელს (დღეს კი საბჭოთა ნაკრები დაკომპლექტებულია კიევის დინამოელებით)? ჩვენი ფეხბურთელების უმაღლესი მიღწევა მაშინ ეს თასი იყო — მეტის გაკეთება მათ არ შეეძლოთ მრავალი წინააღმდეგობის გამო. მათთვის რომ „მწვანე შუქი აენთოთ“, არც „დინამო“ დაიშლებოდა და არც ქართული ფეხბურთი იქნებოდა ამ დღეში. თუ რა „კეთდება“ დღესდღეობით თბილისის „დინამოსთვის“, ყველასათვის ნათელია — 7 წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებულია, 5 ქულა მსაჯების უვიცობის (ვითომ?) გამო დაგვაკლდა, „სპარტაკს“ კი ბოლო 10 წლის განმავლობაში მინიმუმ 8 ქულა მუქთად ეწერება.

მახსოვს, 4-5 წლის წინათ თბილისი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს მასპინძლობდა ჭიდაობის ერთ-ერთ სახეობაში. ამ ტურნირის შედეგებით საკავშირო ნაკრები უნდა დაეკომპლექტებინათ. ჩვენებმა ბლომად „ოქრო-ვერცხლი“ მოიხვეჭეს, მაგრამ ნაკრებში მხოლოდ 2 სპორტსმენი შეიყვანეს, ისიც, ალბათ, „ჩაწყობის“ შემდეგ. აქაც მოქმედებდა პრინციპი — დაე წავაგოთ, ოღონდ ჩვენებმა ითამაშონ.

არაფერს ვიტყვი ქალთა ჭადრაკზე. აქ რომ სასტვენი ყოფილიყო, რა ეშველებოდათ ჩვენს დედოფლებს და დედოფლობის პრეტენდენტებს?

ყოველივე ამის შემდეგ, როგორი „ლიგის კავშირიც“ არ უნდა შეიქმნას, ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება. ეს კავშირი „საბჭოთა სპორტის ინტერესებს“ ამოეფარება და, პირველ ყოვლისა, თავისიანებისთვის იზრუნებს.

მივესალმები ქართული სპორტის იმ მესვეურებს, რომლებიც იღვწიან საქართველოს სპორტული დამოუკიდებლობისთვის. ამით ისინი ქართულ სპორტს ჩამოაშორებენ იმ წინაღობებს, რომლებიც ბევრ ჩვენს სპორტსმენს ვერ გადაულახავს და გზას გაუხსნიან მათ იმ ოქროს მედლებისკენ, ვინ იცის, დღემდე რამდენი რომ დაგვაკარგვინეს.

სოსლან დიდია,
[illegible] ინსტიტუტის თანამშრომელი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„ტორპედო“ — „დინამო“ (მინსკი) 1:2 (1:0). გოლები: რუდაკოვი („ტორპედო“), გერასიმეცი, ალჩაგიროვი („დინამო“).

ამ მატჩში გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელები ანტონოვიჩი, როდნენოკი, ალჩაგიროვი, მეტლიცკი, გომანოვი, აგრეთვე, ტორპედოელები ი. სავიჩევი და კოვაჩი. გააფრთხილეს და შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ტორპედოელი ქუკოვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ თბილისელი არბიტრების გ. სეფიაშვილის, ე. სილაგავასა და მ. ჭელიძის შემადგენლობით. მატჩის ინსპექტორმა ა. ტაბაკოვმა (მოსკოვი) გ. სეფიაშვილს დაუწერა შეფასება „2“, მ. ჭელიძეს — „4“ და ე. სილაგავას „5“.

დუბლიორები — 3:1.

„როტორი“ — „ჟალგირისი“ 1:1 (1:0). გოლები: ჩუპინი („როტორი“), იაკუბაუსკასი („ჟალგირისი“).

გააფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელები ნარბეკოვასი და იანონისი.

დუბლიორები — 0:3.

„მეტალისტი“ — „ლოკომოტივი“ 0:1. გოლი: რუსიაევი („ლოკომოტივი“),

დუბლიორები — 0:2.

„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ 2:1 (1:1). გოლები: იმრეკოვი, კონდრატიევი („ჩერნომორეცი“), პეტროვი („შახტიორი“).

დუბლიორები — 0:1.

„პამირი“ — „არარატი“ 1:0 (1:0). გოლი: ბატურენკო („პამირი“).

დუბლიორები — 6:1.

● **განვლილი** ტურის 7 მატჩში უმაღლესი ლიგის გუნდებმა სულ 13 ბურთი გაიტანეს.

● **ბომბარდირთა** შორის 14 გატანილი ბურთით ლიდერობს სპარტაკელი ს. როდიონოვი, მოსკოვის დინამოელებმა ე. დობროვოლსკიმ და ი. კოლივანოვმა 9-9 ბურთი გაიტანეს.

● **წლევანდელ** სეზონში საკუთარ მინდორზე პირველი მარცხი იწვნია ხარკოვის „მეტალისტმა“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში, მაგრამ ამავე დროს, ეს ლოკომოტიველთა პირველი გამარჯვებაა მეტოქის მინდორზე.

● **ჩემპიონატის** მონაწილეთა შორის 3 გუნდია, რომლებსაც სტუმრად ჩატარებულ მატჩებში ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებიათ: ესენია თბილისის „დინამო“, ვოლგოგრადის „როტორი“ და ლენინგრადის „ზენიტი“.

● **მოსკოვის** „ტორპედოს“ მოთამაშე ს. ქუკოვი ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს. ეს პირველი გაძევებაა წლევანდელ ჩემპიონატში (მანამდელი გაძევებები თასების მატჩებში მოხდა).

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრთან“ შეხვედრაში თბილისის „დინამოში“ მოხდა ორი ცვლილება: თეთრაძე 46-ე წუთზე შეცვალა დარასელიამ, ხოლო ქეცბაიას ნაცვლად 70-ე წუთზე მინდორზე გამოვიდა ფანცულაია. ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში (2:1 „დნეპრის“ სასარგებლოდ) თბილისელთაგან ბურთი გაიტანა თედეევმა.

● **სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში წესრღვევათა ტაბულა. ყველაზე ნაკლები გაფრთხილება აქვთ ვოლგოგრადის „როტორის“ ფეხბურთელებს — 9, შემდეგ მოდიან თბილისის „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ — 10-10 ყვითელი ბარათი. ყველაზე მეტი დარღვევა აქვს მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 24, შემდეგ, ვილნიუსის „ჟალგირისს“ — 22 და ლენინგრადის „ზენიტს“ — 21. უმაღლეს ლიგაში თითო ფეხბურთელია გაძევებული მინდვრიდან ერევნის „არარატის“, კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შემადგენლობიდან.

● **ამას წინათ** „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი გ. კონდრატიევი გადადის ლენინგრადის „ზენიტში“, მაგრამ გ. კონდრატიევმა უარი განაცხადა გადასვლაზე და „ჩერნომორეცში“ დარჩა.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მნ.	20	13	3	4	39-20	29
„დინამო“ კ.	19	12	5	2	34-9	29
„დნეპრი“	20	11	7	2	25-14	29
„სპარტაკი“	20	11	6	3	41-17	28
„ჟალგირისი“	21	11	5	5	33-14	27
„ლოკომოტ.“	20	10	3	7	33-20	23
„დინამო“ მ.	20	9	3	8	31-29	21
„ტორპედო“	20	7	7	6	22-24	21
„შახტიორი“	20	7	4	9	21-27	18
„არარატი“	19	6	6	7	22-33	18
„მეტალისტი“	20	6	4	10	20-31	16
„დინამო“ თბ.	18	5	6	7	21-23	16
„ზენიტი“	21	5	2	14	20-37	12
„პამირი“	20	3	5	12	18-41	11
„როტორი“	/19	3	4	12	11-30	10
„ჩერნომორ.“	19	3	2	14	21-41	8

* * *

მოვუწყოთ გაცილება ა. ჩივაძეს!

ფეხბურთის მოყვარულებმა „ლელოს“ ფურცლებზე წამოჭრეს საკითხი იმის თაობაზე, რომ საჭიროა დიდი ფეხბურთიდან საზეიმო გაცილება მოვუწყოთ თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალექსანდრე ჩივაძეს.. არა ისეთი სტანდარტული, როგორიც უკვე იყო, არამედ საზეიმო, მასშტაბური, აი, კიეველ ფეხბურთელს ოლეგ ბლოხინს რომ ჰქონდა.

გაცილების რიტუალი საჭიროა კარგად მოვიფიქროთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, მოთამაშე გუნდების შემადგენლობას, ალბათ, თვითონ ა. ჩივაძე შემოგვთავაზებს, საჭიროა შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ყველა რთულ საკითხს წარმატებით გადაჭრის.

მერე? მერე დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ ბორის პაიჭაძის საიუბილეო მატჩი, გაისად მას 75 წელი უსრულდება, ეს თარიღი კი მთელმა საქართველომ საზეიმოდ უნდა აღნიშნოს.

ნესტან კერატიშვილი,
საგარეჯო, წყაროსთავი.

* * *

თავისუფალი, როგორც „ლიბერო“

ფრანკო ბარესი „მილანის“ ფეხბურთელთა გუნდში 1974 წლიდან თამაშობს. იგი ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, ფლობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს. იტალიის ეროვნულ ნაკრებში 34 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ ინტერვიუში ბარესი ლაპარაკობს მსოფლიო ჩემპიონატის და იტალიის ფეხბურთის პრობლემებზე.

● **როგორ ფიქრობთ, გამართლდება იტალიელ გულშემატკივართა იმედები 1990 წელს? შეძლებს იტალია მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებას?**

— გულშემატკივრებს სურთ მსოფლიო პირველობის მოგება. მაგრამ არ ვეთანხმები აზრს, რომ ჩვენი ნაკრები ჩემპიონატის გამორჩეული ფავორიტი იქნება. წინ 11 თვეა და დარწმუნებული ვარ 1990 წლისათვის იტალიის ნაკრები საკმაოდ განახლდება.

● **ნიშნავს თუ არა თქვენი განცხადება, რომ ვიჩინი აპირებს ქვეყნის ნაკრების კიდევ უფრო გაახალგაზრდავებას?**

— ჩემი აზრით გუნდში უეჭველად მიიწვევენ რამდენიმე ახალგაზრდას, მაგალითად კარნევალე და სიმონე უკვე მზად არიან უმაღლეს დონეზე სათამაშოდ. დიდი გუნდის შესაქმნელად აუცილებელია ვეტერანებისა და ახალბედების სინთეზი.

● **მაინც რომელ ადგილს დაიკავებთ?**

— ვფიქრობ ნახევარფინალამდე მივაღწევთ, მერე კი ვნახოთ რა მოხდება.

● **რომელი გუნდი მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტად?**

— არგენტინა, ჰოლანდია, ბრაზილია და სსრ კავშირი.

● **დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ფეხბურთელი თქვენს სერია „ა“-ში (იტალიის უმაღლესი ლიგა) გამოდის. რას გვეტყოდით უცხოელთა სამკაციანი ლიმიტის გაზრდაზე?**

— სამზე მეტი „სტრანიერი“ (უცხოელი)? — ო, არა! ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, მესმის, რომ „მილანის“ გულშემატკივრები სტადიონზე, პირველ ყოვლისა, ჰოლანდიელთა ტრიოს (გულიტი, ვან ბასტენი, რიიკარდი) სანახავად მოდიან, მაგრამ მეორეს მხრივ, უცხოელთა მასობრივი იმპორტი ხელს უშლის ახალგაზრდა იტალიელთა ზრდას. ლიმიტის მოხსნა ეროვნული ფეხბურთის კრახს მოგვიტანდა.

● **მაგრამ თქვენ ხომ ვერ უარყოფთ, რომ უცხოელებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს და გაახალისეს ეროვნული პირველობის მატჩები?**

— რა თქმა უნდა, სწორი ბრძანდებით. მათი წყალობით კალჩიოს (იტალიის პირველობა) მატჩები განუმეორებელ სპექტაკლებად იქცა. პირადად ჩემთვისაც უდიდესი სიამოვნებაა გულიტის, ვან ბასტენისა და რიიკარდის მხარდამხარ თამაში. მათ შემატეს „მილანს“ კლასი, სიძლიერე, სილამაზე.

● **მიუხედავად ყველაფერ ამისა თქვენ ვერ გაიმარჯვეთ იტალიის ჩემპიონატში.**

— სამაგიეროდ ჩემპიონთა თასი მოვიგეთ! ამან ადვილად „მოგვანელებინა“ „ინტერის“ ჩემპიონობა. საერთოდ კი, ჩვენი ლიგა იმდენად ძლიერია, რომ აქ შეუძლებელია მთელი სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება.

● **რას იტყვით „ინტერის“ ჩემპიონობაზე?**

— ძალზე ძლიერი გუნდია. იგი დაკომპლექტებულია უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით. გამოირჩევიან ძენგა, ბერგომი, სერენა, არგენტინელი რაიმონ დიასი, კარგად შეეწყვნენ გუნდს ბრემე და მათეუსი (ორივე — გფრ). ყველაფერ ამას ხელმძღვანელობს მწვრთნელი ტრაპატონი. კარგია, რომ ჩემპიონი ჩემი ქალაქის გუნდი გახდა, თან ჩვენს ოჯახს ოქროს მედალი შეემატა, „ინტერის“ მცველი ჯუზეპე ბარესი ხომ ჩემი უფროსი ძმაა.

● **რატომ თამაშობთ სხვადასხვა კლუბებში?**

— ბავშვობაში ტრავალიატოში გამოვდიოდით. იქიდან მიგვიწვიეს „ინტერში“. ჩემი ძმა მოიწონეს, მე კი უკან გამიშვეს. ამ დროს „მილანში“ მუშაობდა ცნობილი შვედი სპეციალისტი ნილს ლიედჰოლმი. მან არად ჩააგდო ჩემი ფიზიკური სისუსტე და „ლიბეროს“ პოსტზე დამაყენა. აი, უკვე 15 წელია, ამ პოზიციაზე ვთამაშობ.

● **რა გხიბლავთ „ლიბეროს“ ფუნქციებში?**

— ყველაფერი! ის, რომ შემიძლია დაცვაში თამაშიც და შეტევაში ჩართვაც, გოლის გატანა. ჩემთვის, როგორც „ლიბეროსთვის“ არ არსებობს შეზღუდვა. ამაზე იტყვიან ხოლმე, თავისუფალია, როგორც „ლიბერო“!

(საქ. ინფ.)

გამოხმაურება წერილზე: „საჭირ[illegible] საბჭოთა კავშირის ჩემპიონატ[illegible]

რატომ დუმან სპეციალისტები?

დიდი ინტერესით ვეცნობი „ლელოში“ გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის შექმნის პრობლემას ეხება. ვიზიარებ აზრს, რომ ჩვენს ფეხბურთს სრული რეორგანიზაცია ესაჭიროება, ამასთან დაკავშირებით მინდა საკუთარი აზრი მოგახსენოთ.

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უნდა მონაწილეობდეს 12 გუნდი: თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“, ბათუმის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, სოხუმის „დინამო“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“, ფოთის „კოლხეთი“, ხობის „კოლხეთი“, რუსთავის „მეტალურგი“, ოზურგეთის „მერცხალი“, თბილისის „შევარდენი“. პირველობა უნდა ჩატარდეს ორ ეტაპად, სექტემბრიდან მაისამდე. პირველ ეტაპზე გუნდები წრიული სისტემით (შინ და სტუმრად) ეთამაშებიან ერთმანეთს, მეორე ეტაპზე, საიმისოდ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა გამოირიცხოს, I-IV ადგილებზე გასულნი კი ეგრეთ წოდებულ „გადასასვლელ ტურნირში“ მიიღებენ მონაწილეობას ქვემო ზონიდან გამარჯვებულ გუნდებთან ერთად. რესპუბლიკის პირველობის შემდეგ, ივნის-ივლისში, უნდა ჩატარდეს საქართველოს საფეხბურთო თასის გათამაშება. აქ მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდები.

სული გუნდები ფინალურ ასპარეზობაში შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო ბოლო ორ ადგილზე გა-

აუცილებლად უნდა შეიქმნას საქართველოს ნაკრებიც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა შევიდეს უეფა-ს, შემდეგ კი ფიფა-ს შემადგენლობაში. ეროვნული პირველობის ორი პრიზიორი თასის მფლობელთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ევროპის საკლუბო ტურნირებში. ვფიქრობ, ჩვენი გუნდები ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ ევროპის საკლუბო კოლექტივებს.

დაბოლოს, მინდა კითხვით მივმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას — რა გვიშლის ხელს დისკუსიაში ჩაებან სპეციალისტები? მათ ხომ ყველაზე უკეთ იციან, რა სჯობს და რა არა.

თემურ მთიბელაშვილი,
X კლასის მოსწავლე.

თბილისი.

სწორი გზით განვითარებისათვის

ლოგიკურად მიმაჩნია, რომ პოზიტიური ცვლილებები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს უნდა შეეხოს, მათ შორის, ეროვნულ სპორტსაც.

ვინ მოთვლის, რა დიდი წვლილი შეიტანეს სათანადოდ დაუფასებელმა ქართველმა ოსტატებმა ე. წ. სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მსოფლიო თუ ოლიმპიურ გამარჯვებებში, განსაკუთრებით ფეხბურთში, ჭიდაობაში, ჭადრაკში, კალათბურთში, ხელბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში... მარტო 1960 წლის ევროპის საფეხბურთო თასის ფინალი რად ღირს, ხოლო 1982 წელს შედგენილ ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი მოხვდა. მაგრამ დაფასებისა და აღიარების ნაცვლად ისევ და ისევ უმადურობისა და შურის მოწმენი ვართ!..

ისიც ღრმად მწამს, რომ გარკვეულ პერიოდებში მსოფლიო ჩემპიონატებში შესაძლო მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გაცილებით მაღალ, საპატიო ადგილს დაიკავებდა, ვიდრე რუსეთისა!..

რა დამავიწყებს 1960 წელს მოსკოვში, თოვლიან მინდორზე გამართულ საკავშირო თასის ტრაგიკულ ფინალს, ანდა ერევნელებთან ჩათვლილ წაგებას საკუთარ მოედანზე, 1978 წლის „ისტორიულ“ მატჩს ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“. კარგად გვახსოვს, რომ ლატიშევის, ბალაკინის, ცაპოვეცკის, ბუტენკოს, დუდკოს, ბეზუბიაკისა და სხვათა აბსოლუტურმა განუკითხაობამ მრავალჯერ დაგვაკარგვინა მატჩებზე დასწრების ხალისი და ჩემპიონობაც კი. წინასწარ დაგეგმილი ტრავმები რომ არა, გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა დ. ყიფიანის, ვ. გუცაევისა და სხვათა და სხვათა მოღვაწეობა... ურა-ფეხბურთის მსხვერპლთა რიცხვს დღეს კიდევ ერთი მიემატა — გ. ცაავა.

რად უნდა სჭირდებოდეს მსაჯისა და ფედერაციის მუდმივი დახმარება იმ ქვეყანას, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს აჩუქა ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: გ. ფედოტოვი, ვ. ბობროვი, ვ. ვორონინი, ა. ილინი, ს. სალნიკოვი, ე. სტრელცოვი, ვ. ივანოვი, ლ. იაშინი, ვ. პონედელნიკი, ო. ბლოხინი და სხვები, ანდა რა მიზანს ისახავს ვ. მასლაჩენკოს ურა-პატრიოტიზმი, მისივე გაუთავებელი ცინიზმი, ზიზღი ყოველივე არარუსულისადმი.

რაც შეეხება „დინამოს“ სახელწოდების შეცვლას, გულშემატკივართა დაუოკებელი სურვილი გასაგები და მისასალმებელია, მაგრამ ამ ეტაზე ამისი ობიექტური წანამძღვრები ნამდვილად არ არსებობს, მომავლისთვის კი ამ საკითხში პირველ რიგში თვით კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა თქვას სიტყვა.

ტკბილი ილუზიების ნაცვლად დღესდღეობით მთავარი საზრუნავი თამაშის ხარისხის მკვეთრი და თანმიმდევრული ამაღლება ობიექტური მსაჯობის პირობებში.

ჩვენი მწარე გამოცდილების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ არამც და არამც არ არის გამართლებული კატეგორიული, მბრძანებლური მოთხოვნა, თითქოს რაიონების გუნდებმა უსიტყვოდ უნდა მისცენ შევსება დედაქალაქის კლუბს მხოლოდ იმიტომ, რომ ის დედაქალაქისაა. ასეთი რამ ურთიერთსასარგებლო შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს, მით უმეტეს, ახლა, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის პირობებში.

მომავლისათვის დიდად სასარგებლო და საინტერესო იქნებოდა ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდეს საერთაშორისო მიკროტურნირები საზღვარგარეთის მოწინავე პროფესიული კლუბების მონაწილეობით, სათანადო გაჯერებული საინტერესო პრიზებითა და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით. ეს ნამდვილი სპორტული ფიესტა იქნება, უდიდესი რეკლამა ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სწორი გზით განვითარებისთვის.

როლანდ კალანდაძე.

იტალიაში ებრძვიან უხეშობას

ბოლო ხანებში იტალიის საფეხბურთო მინდვრებზე გახშირდა წესრიგის დარღვევა მაყურებელთა მხრივ, კერძოდ, ეროვნულ ჩემპიონატში უდისციპლინობა ტრიბუნებზე ნორმად იქცა.

ამასთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრი ღონისძიებები შეიმუშავა ხულიგნობის საწინააღმდეგოდ, ეს სანქციები ძალაში შევა წლეულს სექტემბრიდან.

იტალიის კლუბები ამიერიდან საკუთრივ, უშუალოდ პასუხისმგებლები არიან თავიანთი გულშემატკივრების ულირს საქციელზე და მათი უდისციპლინობის გამოვლენის შემთხვევებში სასჯელი დაედება თვით კლუბს: მათ მომდევნო 2 კალენდარული მატჩის თამაში მოუხდებათ ნეიტრალურ სტადიონზე, და, თუ ეს საჭირო იქნა, ცარიელი ტრიბუნების წინ. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმები იმ კლუბებისთვის, რომლებიც ვერ ალაგმავენ თავიანთ ფანატიკოს გულშემატკივრებს. ფულადი ჯარიმა გულისხმობს 25-დან 50 მილიონ ლირამდე (შესაბამისად 18-37 ათასი ამერიკული დოლარი).

ვინ გვიფათურებს ხელს მეგობრობაში?..

ადამიანებში იმთავითვე შვიდი საოცრება იყო ცნობილი, დღეს კი, სამწუხაროდ, მერვე საოცრებასთან შეგვექმნა საქმე. დიახ, ქართველთა და აფხაზ ხალხთა უკანასკნელი დროის გაუგებარ ურთიერთობის შესახებ მოგახსენებთ. გაუგებარიო — გულწრფელად ვამბობ ამ სიტყვას.

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მთელი ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე გვერდით მუდამ აფხაზეთის ფეხბურთელები მყავდნენ, ასე ვთქვათ, ერთ ტაფაში ვიხარშებოდით და ვიწვოდით, ერთად გვიხაროდა მოგებაც და ერთადვე განვიცდიდით მარცხსაც. რამდენი ერთი დავასახელო: ვლადიმერ მარღანია და ვალტერ სანაია, ნიაზი ძიაპშიპა და ბორის ხახაია, იური ვარდიმიადი და იური გრამატიკოპულო, ანატოლი ნორაკიძე და ზურაბ სოტკილავა, ვლადიმერ ბარქაია და გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი, ვიტალი დარასელია, სხვანი და სხვანი.

თბილისის „დინამოში" დღესაც არიან აფხაზეთის ფეხბურთის აღზრდილნი გრიგოლ ცაავა, ახრიკ ცვეიბა, თემურ ქეცბაია...

დინამოელების სეზონისწინა შეკრებები, როგორც წესი, გაგრასა ან ლესელიძეში — აფხაზეთის ამ თვალწარმტაც ადგილებში გვქონდა. ამხანაგურ მატჩებსაც ვმართავდით აქ თუ სოხუმში ადგილობრივ ფეხბურთელებთან. დამიჯერეთ, სტადიონზე მოსული უცებ ვერც მიხვდებოდა, რომელი გუნდი იყო მასპინძელთა და რომელი — სტუმრებისა. ტრიბუნები მხურვალედ უჭერდნენ მხარს ორივე გუნდს, გულშემატკივრები ტაშს უკრავდნენ ოსტატურ, ლამაზ თამაშს.

რამდენი რამ სასიამოვნო და სასიხარულო მაგონდება აფხაზეთში გაზრდილ ფეხბურთელებთან ურთიერთობისას, რამდენი სიყვარული მახსოვს თითოეული მათგანიდან — ჩემი ვოვასაგან, ჩემი ნიაზისაგან, ჩემი ბორიასაგან, ჩემი ვალტერისაგან, ჩემი გიგასაგან, ჩემი ორი იურასაგან... თითოეული მათგანი ჩემი გულწრფელი, კარგი მეგობარი იყო და მეც მუდამ ვამაყობდი მათთან ესოდენ კეთილი ურთიერთობით. ამასთან ისინი ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ, მისი ღირსეულნი დამცველნი და თანამოაზრენი. რა დამავიწყებს იმ მძიმე წუთებს, როდესაც მთელმა საქართველომ იგლოვა საყვარელი ფეხბურთელების ვლადიმერ მარღანიას და ვიტალი დარასელიას ტრაგიკული დაღუპვა; როგორ გააცილა თბილის-ქალაქმა ისინი უკანასკნელ გზაზე აფხაზეთისაკენ — დრანდასა და ოჩამჩირეში, ჩვენც, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ჩავედით აფხაზეთში.

მაინც რა ხდება დღეს?! საგონებელში ვართ ყველა, ვინ გვირევს, ვინ აფათურებს ბინძურ ხელს ჩვენს სულებში, ვის უნდა ნაცარტუტად აქციოს ჩვენი სახელოვანი წარსული, მტრად გახადოს ერთი მიწის ეს ორი მოსიყვარულე, კეთილი ხალხი?

ეჭვი არაა, ჩვენი ისტორიის ამრევნი უმკაცრესად დაისჯებიან. არც ქართველები, არც ნამდვილი აფხაზები არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ვიღაც გარეწრებმა არიონ ჩვენი ცხოვრება, მოწამლონ ჩვენი მომავალი, ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ხვალინდელი დღე.

მტკიცედ მჯერა, რომ სიკეთე გაიმარჯვებს.

მიხეილ ჯოჯუა,
სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული ხელოვნებისა და სპორტის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩოგბურთელთა შემოსავალი

იუპ-ის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენი სისტემატურად აქვეყნებს ცნობებს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა შემოსავლის შესახებ. ბოლო შეჯიბრებათა გათვალისწინებით წლევანდელი წლის დასაწყისიდან მნიშვნელოვან ფინანსურ წარმატებებს მიაღწიეს:

ვაჟებში: ბორის ბეკერმა (გფრ) — 862526 დოლარი, ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) — 803805, სტეფან ედბერგმა (შვეცია) — 640402, ჯონ მაკინროუმ (აშშ)— 419574, მაიკლ ჩანგმა (აშშ) — 376992...

ქალებში: შტეფი გრაფმა (გფრ) — 939905 დოლარი, მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) — 433464, არანტა სანჩესმა (ესპანეთი) — 402523, გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა)— 365301 და ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — 283 629.

საინტერესოა საბჭოთა ჩოგბურთელ ქალთა შემოსავლის ოდენობაც: ნატალია ზვერევა ამ კლასიფიკაციაში მეცხრე ადგილზე იმყოფება (163108 დოლარი), ლარისა სავჩენკო კი მეათეზე (147997).

▲ ▲ ▲

კალეიდოსკოპი

ინოკი — პარლამენტის წევრი

იაპონელ პროფესიონალ მოჭიდავეს, 46 წლის ანტონიო ინოკის საბჭოთა სპორტისმოყვარულები კარგად იცნობენ. ამ ცოტა ხნის წინ გაიმართა მისი საკმაოდ გახმაურებული ორთაბრძოლა მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონ შოთა ჩოჩიშვილთან. ინოკი სპორტის, კერძოდ კი პროფესიული ჭიდაობის გარდა გატაცებულია პოლიტიკით. მან შექმნა სპორტული პარტია, რომელიც ჯერ არც ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ ნელ-ნელა პოპულარობას იხვეჭს და ახალ მომხრეებს პოულობს.

ანტონიო ინოკი ამ დღეებში იაპონიის პარლამენტის ზედა პალატაში აირჩიეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სპორტსმენი ამომავალი მზის ქვეყანაში ასეთ პოლიტიკურ კარიერას იკეთებს. თანაც საგულისხმოა, რომ ინოკის კანდიდატურას მხარი დაუჭირა მილიონამდე ამომრჩეველმა.

ამ პოპულარობის მიზეზი ინოკის პოლიტიკურ პროგრამაში უნდა ვეძებოთ. იგი იბრძვის მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში და ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე რეალურ გზად სპორტული ურთიერთობებისა და კონტაქტების ქსელის გაფართოვება მიაჩნია.

ლარი ბიორდს არ წყალობს ბედი

ამერიკის პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის „ბოსტონ სელტიქსის" წარმატებები მუდამ დაკავშირებული იყო ლარი ბიორდის სახელთან. მაგრამ ამ „სუპერვარსკვლავს" ბოლო დროს არ წყალობს ბედი, რის გამოც მისი გუნდი ნბა-ს ჩემპიონატში უხეიროდ გამოდის.

შარშან ბიორდმა მუხლის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა, ახლა მან ინტენსიური წვრთნა დაიწყო, მაგრამ... ისევ მძიმე ტრავმა მიიღო ხერხემლის არეში. თუმცა ექიმები ვარაუდობენ, რომ კალათბურთელი 4-6 კვირის შემდეგ შესძლებს წვრთნის გაგრძელებას.

● ● ●

II ლიგის მატჩი

დღეს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგება II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდი და ხობის „კოლხეთი". დასაწყისი 18 საათზე.

◆ ◆ ◆

„სპორტპროგნოზი"

31-ე ტირაჟის შედეგები

(29-31 ივლისი)

1—1, 2—2, 3—X, 4—1, 5—X, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—2, 11—1, 12—1, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტპროგნოზი", 33-ე ტირაჟის პროგრამა (13-14 აგვისტო)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)		პროგნოზი		
1. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „მეტალისტი" (ხარკოვი)	13.VIII	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა)				
2. „ზარია" (კალუგა) — „ისკრა" (სმოლენსკი)	13.VIII	40	50	10
3. „ლუჩი" (ვლადივოსტოკი) — „ზვეზდა" (ირკუტსკი)	13.VIII	70	20	10
4. „ირტიში" (ომსკი) — „სახალინი" (იუჟნო-სახალინსკი)	13.VIII	70	20	10
5. „ლოკომოტივი" (ჩიტა) — „დინამო" (ბარნაული)	13.VIII	30	50	20
6. „სელენგა" (ულან-უდე) — „ტომი" (ომსკი)	13.VIII	10	60	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
7. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „გეოლოგი" (ტიუმენი)	14.VIII	60	30	10
8. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „შინიკი" (იაროსლავლი)	14.VIII	40	40	20
9. ცსკა — „ფახთაქორი" (ტაშკენტი)	14.VIII	70	20	10
10. „დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (ბათუმი)	14.VIII	10	80	10
11. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „კუბანი" (კრასნოდარი)	14.VIII	20	60	20
12. „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	14,VIII	60	30	10
13. „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ნეფთჩი" (ბაქო)	14.VIII	20	70	10

● ● ●



სამხრეთული ხასიათი

30 ივლისს, „ჰოკენჰაიმზე" (გფრ) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი „ფორმულა-1" კლასის ავტორბოლაში. გათამაშდა ამ ქვეყნის „გრან პრი". დაიწყო ასპარეზობის მეორე ნახევარი.

„ჰოკენჰაიმის" სიგრძე 6,797 კმ-ია. 44 წრე კი შეადგენს 299,068 კმს.

ტრასის რეკორდი ეკუთვნის ალესანდრო ნანინის (იტალია, „ბენეტონ-ფორდი"). შარშან მან ერთი წრე გაიარა 2 წუთსა და 03,032 წამში (საშუალო სიჩქარე — 198,884 კმ სთ).

საკვალიფიკაციო რბოლა კვლავ აირტონ სენამ მოიგო (1 წუთი და 42,300 წამი). ეს ბრაზილიელი პილოტის 36-ე საუკეთესო შედეგია.

სტარტის შემდეგ ბერგერმა მკვეთრად აიღო საჭე მარცხნივ და სცადა დაწინაურებულიყო. ავსტრიელი პილოტის ამ მანევრმა კინაღამ კატასტროფა გამოიწვია, მაგრამ მეტოქეებმა მას წინ გასვლის საშუალება მისცეს და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ბერგერს მიჰყვა ხუთეული აირტონ სენას წინამძღოლობით. მაგრამ ავსტრიელი პილოტი დიდხანს არ ლიდერობდა. ერთ-ერთი მოსახვევის გავლისას მან ვერ დაიმორჩილა ავტომობილი, „ფერარი" ჰაერში ავარდა და ტრასის გარეთ, მიწაზე დაენარცხა. მიუხედავად ამისა, პილოტი არ დაშავებულა. მანამდე კი „მაკლარენის" ორმა პილოტმა ოსტატურად ჩამოიტოვეს მეტოქეები. დაწინაურდა სენა. დადგა საბურავების გამოცვლის დრო და აქ მოხდა მოულოდნელი რამ. „მაკლარენის" მექანიკოსები, რომლებიც სისწრაფით გამოირჩევიან, დიდხანს მოუნდნენ სამუშაოს —23 წამში დაასრულეს. შეიქმნა ლიდერის პოზიციის დაკარგვის საშიშროება და სენა თავბრუდამხვევი სიჩქარით გაემართა ფინიშისკენ. იგი ყოველ წრეზე უგებდა წამებს ალენ პროსტს. 43-ე წრეზე გაუსწრო კიდეც თანაგუნდელს და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. ამ დროს სხვაობა სენასა და პროსტს შორის 18 წამს შეადგენდა.

აირტონ სენამ მე-18 „გრან-პრი" მოიპოვა და მეოთხე — წლევანდელ სეზონში. მთელი დისტანცია მან გაიარა 1 საათში, 21 წუთსა და 43,302 წამში. გარდა ამისა მან ტრასის რეკორდიც დაამყარა — 1 წუთი და 45,884 წამი (საშუალო სიჩქარე — 231,094 კმ სთ). ამით ბრაზილიელმა პილოტმა ნანინის შარშანდელი შედეგი გააუმჯობესა.

ეტაპის საბოლოო შედეგები:

1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 6 (ორივე „მაკლარენ-ჰონდა"); 3. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი") — 4; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო") — 3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჯადი") —2; 6. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-ფორდი") — 1 ქულა.

პირადი ჩათვლა:

1. ალენ პროსტი — 53; 2. აირტონ სენა — 36; 3-4. რიკარდო პატრეზე, ნაიჯელ მენსელი — 25-25; 5. ტიერი ბუტსანი — 13; 6. ალესანდრო ნანინი — 12,7. ნელსონ პიკე — 8; 8. მიქელე ალბორეტო — 6; 9-10. ჯონი ჰერბერტი, დერეკ უორვიკი — 5-5; 11-15. მაურიციო გუჯელმინი, სტეფანო მოდენა, ედი ჩივერი, ანდრეა დე ჩეზარისი, ალექს კაფი — 4-4; 16-17. კრისტინ დანერი, ჟან ალესი — 3-3; 18-20. რენე არნუ, სტეფან იოჰანსონი, პიერლუიჯი მარტინი — 2-2; 21-25. ჯონათან პალმერი, გაბრიელე ტარკვინი, მარტინ ბრანდლი, ოლივიე გრუიარი, ლუის პერეს სალა — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი" — 89; 2. „უილიამსი" — 38; 3. „ფერარი" — 25; 4. „ბენეტონი" — 17; 5. „ტაირელი" — 10; 6. „ეროუზი" — 9; 7-8. „დალარა", „ლოტუსი" — 8-8; 9; „ბრებემი" — 5; 10. „მარჩი" — 4; 11-13. „რიალი" „ლიჟიე", „მინარდი" — 3-3; 14. „ონიქსი" — 2; 15. „ა-ჯე-ესი" — 1 ქულა.

ჩემპიონატის მეათე ეტაპი გაიმართება 13 აგვისტოს, უნგრეთში, „ჰუნგარორინგზე".

დავით ჩუბინიძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი № 2)

5 და 6 აგვისტო

ხელოვნების ცენტრი „იბერია" წარმოადგენს როკ-ჯგუფებს „ხლაუერხოფ" და „დუუველ" ჰოლანდია.

დასაწყისი 21 საათზე.

კონცერტზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 4, 5 და 6 აგვისტოს დილის 10 საათიდან, 19 საათამდე. (შესვენება 14 -15 საათამდე) ხოლო ორგანიზაციებში 4 აგვისტოს.

აბონემენტები და ყველა სახის საშვი ძალაში არაა.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზირი, 74)

3 აგვისტო

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„ელმავალი" (თბილისი) —
„ავიატორი" (კიევი)

დასაწყისი 19 საათზე

გათამაშდება ლატარია „ქიგულის" ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

საქართველოს სპორტსახკომი და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანი, ადიგენისა და ხაშურის რაიონების სპორტკომიტეტების ყოფილი თავმჯდომარე

კარლო მალაქიას ძე
ხვედელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარჯვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10460